დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში ბოჭორმის ქ. №11-ში (ს/კ 01.17.01.135.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე, ახალი (საპროექტო) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის შესაძლო გავლენაზე მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე, როგორც მშენებლობის დროს ასევე ექსპლოატაციის პერიოდში.

ობიექტის მისამართი: ქალაქ თბილისი, ბოჭორმის ქ. №11. (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.17.01.135.008)

დამკვეთი ორგანიზაცია: შპს "რეალითი ბოჭორმა" (ს/კ 405431215)

დასკვნა შეეხება: ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქ. №11-ში (ს/კ 01.17.01.135.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე, ახალი (საპროექტო) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის შესაძლო გავლენას, მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე, როგორც მშენებლობის დროს ასევე ექსპლოატაციის პერიოდში.


დასკვნისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

1. მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. შენობის პროექტის არქიტექტორული ნაწილი;
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
4. მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;

1. ობიექტების დახასიათება

გამოსაკვლევი მიწის ნაკვეთი მდებარეობს ბოჭორმის ქუჩისა და 300 არაგველის III შესახვევის კუთხეში. ამ მომენტისათვის არსებული შენობის დემონტაჟი დამთავრებულია და ტერიტორია მოსწორებულია. (იხ. ექსპერტიზის დასკვნა „ქ. თბილისში ბოჭორმის ქ. №11-ში დემონტაჟის შესახებ" 09.06.2017წ) მიწის ნაკვეთის ფართობია 714.00მ^2. იხ.ფოტო №1 - №7;


12.07.2023


12.07.2023




12.07.2023



12.07.2023


12.07.2023




12.07.2023


12.07.20


01.17.01.133.005
01.17.01.133.002
01.17.01.136.002
01.17.01.136.002
01.17.01.136.037
01.17.01.136.005
01.00.393
01.00.038
01.00.287
01.17.01.135.008
01.00.038
01.17.01.136.009
01.17.01.135.009
01.17.01.135.006
01.17.01.135.007
01.17.01.135.001
01.00.287
01.00.324

ფოტო №1

2. მომჯინავე შენობების დახასიათება

აღმოსავლეთის მხრიდან - ს/კ 01.17.01.135.009- მას ესაზღვრება სახანძრო სადგურის შიდა ეზო და 300 არაგველის III შეს.

ჩრდილოეთის მხრიდან – ბოჭორმის ქუჩა.

დასავლეთის მხრიდან - ს/კ 01.17.01.135.006- მას ესაზღვრება ერთ და ორ სართულიანი, აგურის წყობით შესრულებული, მზიდკედლიანი ტიპის საცხოვრებელი შენობები. ერთ სართულიან შენობაზე შეინიშნება ბზარები და ნაპრალები, რომლებიც სავარაუდოდ გრუნტის ჯდენის შედეგად არის გამოწვეული. იხ. ფოტო , №3, №4 და №5;

სამხრეთის მხრიდან - ს/კ 01.17.01.135.009- მას ესაზღვრება სახანძრო სადგურის შიდა ეზო.



ფოტო №3



ფოტო №4



ფოტო №5

3. საპროექტო შენობის დახასიათება

მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა ცხრასართულიანია, აქედან ერთი მიწისქვეშა ავტოსადგომია, და მეცხრე არასრული სართულია. გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 35.00X17.20მ. (ღერძებში).

პროექტის მიხედვით ცხრასართულიანი შენობა დაფუძნებულია ძირითად ქანზე, კენჭნარი – წვრილი და საშუალო ზომის, ფენა №3 (ს.გ.ე. - 2), რომლის საანგარიშო მნიშვნელობებია: სიმკვრივე ρ=2.05ტ/მ^3, ხვედრითი შეჭიდულობა C=0.01ტ/მ^3, შინაგანი ხახუნის კუთხე φ=40°, დეფორმაციის

მოდული E=400კგ/სმ^2; პუასონის კოეფიციენტი μ=0.27; საანგარიშო წინაღობა R_o=4.00 კგძ/სმ^2. სამშენებლო მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა ჩატარებულია ინჟინერ-გეოლოგის მ. ბაბილოძის მიერ.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა წარმოადგენს ხისტკვანძებიან მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სისტემას. იგი დაფუძნებულია 80სმ-ის სისქის ფილაზე. სვეტების განივკვეთის ზომებია 500X500მმ; 400X400მმ, მათი გეგმაზე მდებარეობების და სართულების შესაბამისად. რიგელების 40X60სმ და 20X60სმ.

3. დასკვნები და რეკომენდაციები

გამომდინარე იქიდან რომ მანძილი საპროექტო და ს/კ 01.17.01.135.009 ერთეულამდე არის დიდი, 8 – 18 მეტრი, ხოლო ს/კ 01.17.01.135.006 დაცილებულია 1 – 3 მეტრით მათი სიახლოვიდან გამომდინარე, საჭირო იქნება პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებული და ასახული იქნას ისეთი კონსტრუქციული გადაწყვეტილებები, (მაგ. შენობებს შორის მონოლითური კედლის მოწყობა გრუნტში)

აუცილებელია ს/კ 01.17.01.135.006 არსებულ შენობებზე მოეწყოს ყალაურები. და მოხდეს მათი სისტემატური კონტროლი.

ყოველივე ზევით აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად გამორიცხულია სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას, და შემდგომში ხანგრძლივი ექსპლოატაციის პერიოდში, რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენს.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა:

- СНиП 2.01.07-85* – Нагрузки и воздействия
- (პნ 03.01-09) - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები
- (პნ 01.01-09) - სეისმომედეგი მშენებლობა
- (პნ 02.01-08) - შენობების და ნაგებობების ფუძეები
- (პნ 01.05-08) - სამშენებლო კლიმატოლოგია

უსაფრთხოება: მშენებლობის პროცესი წარიმართოს, 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონი - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილება - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს შესაბამისად.

ინჟინერ-კონსტრუქტორი

ილია მეხრიშვილი

ilia@universe-81.ge

21.07.2023